# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
# № 67

## 1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – " საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

## 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კახა კუპატაძე; ს/კ 212693049 ; "სახელმწიფო ხაზინა" კოდი TRESGE22; სახაზინო კოდი 32 04 05 13 01; ქ.ქუთაისი თამარ მეფის №59;ტ 0431 24 53 45;

და მეორეს მხრივ : ი/მ გიული გიორგაძე . ს/კ 60001081712. მისამართი: ქუთაისი ახალგაზრდობის გამზ №96 ბ33. ს.ს საქართველოს ბანკი. ბანკის კოდი BAGAGE22. ანგ ნომ GE44 BG00 0000 0101 3865 52. ელ ფოსტა gglag2010@yahoo.com. ტელ 574 82 00 91.

(შემდგომში „მიმწოდებელი"შორის

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურეობა. შენობის მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

CPV 50700000 ; 50712000:

შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
SPA 200000934

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურეობის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 30 000 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით

4.2. გასაწევი მომსახურეობის ერთეულის ფასი შეადგენს: პრეისკურანტის ჯამურ ღირებულებას შეადგენს 712 ლარს.

| | დასახელება | მახასიათებელი | განზომილება | რაო-ბა | ერთეულის ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კარების საკეტი შეცვლით | ერთი სასხლეტი ჩამკეტით, ერთი ძირითადი ჩამკეტით, წინა პანელის სიგრძე-- 196მმ, წინა პანელის სიგანე 22 მმ., წინა პანელის სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 175 მმ., შესადგმელი გულის სიგრძე 148მმ, შესადგმელი გულის სისქე 14 მმ., საკეტის სიღრმე 62 მმ, საკეტის სახელურების სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 142 მმ. სახელურები კარებზე უნდა მაგრედებოდეს 2 არა გამჭოლი დამჭერით. გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 24 | 12 |
| 2 | კარების საკეტი შეცვლით | ერთი სასხლეტი ჩამკეტით, ერთი ძირითადი ჩამკეტით, წინა პანელის სიგრძე-- 228 მმ, წინა პანელის სიგანე 25 მმ., წინა პანელის სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 205 მმ., შესადგმელი გულის სიგრძე 160 მმ, შესადგმელი გულის სისქე 15 მმ., საკეტის სიღრმე 82 მმ, საკეტის სახელურების სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 190 მმ. სახელურები კარებზე უნდა მაგრდებოდეს ორი ცალი გამჭოლი სამაგრით. გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 24 | 12 |
| 3 | კარების (ლითონის ) საკეტი შეცვლით | ერთი სასხლეტი ჩამკეტით, ერთი ურდულის ჩამკეტით, , სამი ძირითადი ჩამკეტით, წინა პანელის სიგრძე-- 245მმ, წინა პანელის სიგანე 33.5 მმ., წინა პანელის სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 210 მმ., შესადგმელი გულის სიგრძე 147მმ, შესადგმელი გულის სისქე 30მმ., საკეტის სიღრმე 138 მმ, საკეტის სახელურების სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 195 მმ.გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 48 | 16 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | კარების(ლითონის ) საკეტი შეცვლით | ერთი სასხლეტი ჩამკეტით, ერთი ურდულის ჩამკეტით, , სამი ძირითადი ჩამკეტით, წინა პანელის სიგრძე-- 244მმ, წინა პანელის სიგანე 30 მმ., წინა პანელის სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 210 მმ., შესადგმელი გულის სიგრძე 152მმ, შესადგმელი გულის სისქე 20 მმ., საკეტის სიღრმე 138 მმ, საკეტის სახელურების სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 195 მმ. გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 40 | 16 |
| 5 | კარების საკეტი შეცვლით | ერთი სასხლეტი ჩამკეტით, ერთი ძირითადი ჩამკეტით, წინა პანელის სიგრძე-- 165 მმ, წინა პანელის სიგანე 22 მმ., წინა პანელის სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 150 მმ., შესადგმელი გულის სიგრძე 125 მმ, შესადგმელი გულის სისქე 14 მმ., საკეტის სიღრმე 59 მმ, საკეტის სახელურების სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 145 მმ. გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 24 | 16 |
| 6 | კარების საკეტი შეცვლით | ერთი სასხლეტი ჩამკეტით, ერთი ძირითადი ჩამკეტით, წინა პანელის სიგრძე-- 144 მმ, წინა პანელის სიგანე 21 მმ., წინა პანელის სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 130 მმ., შესადგმელი გულის სიგრძე 117 მმ, შესადგმელი გულის სისქე 14 მმ., საკეტის სიღრმე 62 მმ, საკეტის სახელურების სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 170 მმ. სახელურები კარებზე უნდა მაგრდებოდეს ორი გამჭოლი სამაგრით. გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 24 | 16 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | კარების საკეტი შეცვლით | ერთი სასხლეტი ჩამკეტით, ერთი ძირითადი ჩამკეტით, წინა პანელის სიგრძე-- 124 მმ, წინა პანელის სიგანე 20 მმ., წინა პანელის სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 110 მმ., შესადგმელი გულის სიგრძე 92 მმ, შესადგმელი გულის სისქე 12 მმ., საკეტის სიღრმე 59 მმ, საკეტის სახელურების სამაგრების ცენტრებს შორის მანძილი 109 მმ. სახელურები კარებზე უნდა მაგრდებოდეს ორი ცალი სამაგრით.გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 32 | 24 |
| 8 | კარების საკეტი შეცვლით | ბოქლომის სახით, ბოქლომის ავტომატური ჩაკეტვა , გასაღების ტიპი ცილინდრული, თუჯის, სიგანე 90მმ, სიმაღლე 59მმ, ჩამკეტი რკალი- ნაწრთობი, კვეთის დიამეტრი 11÷12მმ-ისა,რკალის ღიობის სიმაღლე 18მმ , რკალის ღიობის სიგანე 29მმ . გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 16 | 4 |
| 9 | კარების საკეტი შეცვლით | ბოქლომის სახით, ბოქლომის ავტომატური ჩაკეტვა - არა, გასაღების ტიპი ცილინდრული, თუჯის, სიგანე 70მმ, სიმაღლე 103მმ, ჩამკეტი რკალი - ნაწრთობი, კვეთის დიამეტრი 11÷12მმ-ისა,რკალის ღიობის სიმაღლე 40მმ , რკალის ღიობის სიგანე 39მმ გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 16 | 4 |
| 10 | კარების საკეტი შეცვლით | ბოქლომის სახით, ბოქლომის ავტომატური ჩაკეტვა--არა , გასაღების ტიპი დისკური, თუჯის, სიგანე 90მმ, სიმაღლე 82მმ, ჩამკეტი რკალი - ნაწრთობი, კვეთის დიამეტრი 14,5მმ-ისა,რკალის ღიობის სიმაღლე 18,5მმ , რკალის ღიობის სიგანე 26მმ . გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 16 | 4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | კარების საკეტი შეცვლით | ბოქლომის სახით, ბოქლომის ავტომატური ჩაკეტვა--არა , გასაღების ტიპი დისკური, ფოლადის, სიგანე 64მმ, სიმაღლე 119მმ, ჩამკეტი რკალი - ნაწრთობი, კვეთის დიამეტრი 16მმ-ისა,რკალის ღიობის სიმაღლე 58მმ , რკალის ღიობის სიგანე 29მმ | ცალი | 1 | 24 | 4 |
| 12 | კარების საკეტი შეცვლით | ბოქლომის სახით, ბოქლომის ავტომატური ჩაკეტვა--კი , გასაღების ტიპი ცილინდრული, ფოლადის, სიგანე 65მმ, სიმაღლე 96მმ, ჩამკეტი რკალი - ნაწრთობი, კვეთის დიამეტრი 11,4მმ-ისა,რკალის ღიობის სიმაღლე 39მმ , რკალის ღიობის სიგანე 29მმ გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 24 | 4 |
| 13 | კარების საკეტი შეცვლით | ბოქლომის სახით, ბოქლომის ავტომატური ჩაკეტვა--არა , გასაღების ტიპი კოდური, თითბერის, სიგანე 28მმ, სიმაღლე 80მმ, ჩამკეტი რკალი -არა ნაწრთობი, კვეთის დიამეტრი 5მმ-ისა,რკალის ღიობის სიმაღლე 26მმ , რკალის ღიობის სიგანე 13მმ გასაღების რაოდენობა არანაკლებ 5 ცალი. | ცალი | 1 | 24 | 4 |
| 14 | კარის ანჯამა შეცვლით | მეტალოპლასმასისს კარების | ცალი | 1 | 4 | 4 |
| 15 | კარის ურდული შეცვლით | ე.წ. " ზადვიშკა" | ცალი | 1 | 2,4 | 4 |
| 16 | საკეტი შეცვლით | მეტალოპლასმასისს კარების | ცალი | 1 | 20 | 8 |
| 17 | საკეტი შეცვლით | მეტალოპლასმასისს კარების, საკეტის მექანიზმები (ე.წ. "ისპანიოლეტი") | ცალი | 1 | 16 | 8 |
| 18 | საკეტი შეცვლით | ხის კარების | ცალი | 1 | 16 | 8 |
| 19 | ფანჯრის ანჯამა შეცვლით | მეტალოპლასმასისს ფანჯრის | ცალი | 1 | 4 | 4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | ფანჯრის ანჯამა შეცვლით | ხის ფანჯრის | ცალი | 1 | 4 | 4 |
| 21 | საკეტის სახელური შეცვლით | მეტალოპლასმასისს ფანჯრის, თეთრი ფერის | ცალი | 1 | 4 | 4 |
| 22 | ფანჯრის ურდული შეცვლით | ე.წ. " ზადვიშკა" | ცალი | 1 | 2,4 | 4 |
| 23 | საკეტი შეცვლით | მეტალოპლასმასისს ფანჯრის, თეთრი ფერის | ცალი | 1 | 20 | 8 |
| 24 | ბადე | მწერის დამცავი ბადე შეცვლით | კვ.მ | 1 | 11,2 | 4 |
| 25 | ბადე | მწერის დამცავი ბადე მექანიზმით შეცვლით | კვ.მ | 1 | 24 | 12 |
| 26 | საკეტის გული შეცვლით | N 1 პოზიციის საკეტის შესაბამისი. არანაკლებ 5 ცალი გასაღებით | ცალი | 1 | 4 | 4 |
| 27 | საკეტის გული შეცვლით | N 2 პოზიციის საკეტის შესაბამისი. არანაკლებ 5 ცალი გასაღებით | ცალი | 1 | 4 | 4 |
| 28 | საკეტის გული შეცვლით | N 5 პოზიციის საკეტის შესაბამისი. არანაკლებ 5 ცალი გასაღებით | ცალი | 1 | 4 | 4 |
| 29 | საკეტის გული შეცვლით | N 6 პოზიციის საკეტის შესაბამისი. არანაკლებ 5 ცალი გასაღებით | ცალი | 1 | 4 | 4 |
| 30 | საკეტის გული შეცვლით | N 9 პოზიციის საკეტის შესაბამისი. არანაკლებ 5 ცალი გასაღებით | ცალი | 1 | 4 | 4 |
| | | | | | 484 | 228 712 |

4.3. პრეისკურანტში მომსახურეობის რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველის და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასისი გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში მომსახურეობის რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%.

4.4. მომსახურეობა გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი თამარ მეფის 59, ტ.ტაბიძის 18, კუპრაძის 17, ახალგაზრდობის II შესახვევი 24, ახალგაზრდობის 98, ჭავჭავაძის 21, შერვაშიძის 53. ქ.ფოთი 9 აპრილის ქ. №11.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე განახორციელოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურეობის შესრულება მოთხოვნის შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია შესრულებული მომსახურეობის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.6. მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურეობა შესაძლოა სრულად არ იქნას ათვისებული შემსყიდველის ინტერესებიდან გამომდინარე.

## 6. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურეობა გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახური

## 8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული მომსახურეობა იქნება ხარისხიანი წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს მომსახურეობის გაუმჯობესობა და მიყენებული ზარალის აღმოფხვრა.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში:

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4. ანგარიშსწორებაზე და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელია აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული მომსახურეობის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით. და შემსყიდველის მხრიდან 9.2. პუნქტით მას გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასარიცხი თანხის 0,02% ოდენობით.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გაადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16,3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16,4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან

16,5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16,6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად სესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 04.02.2021. წელი

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

\ მაია კუპატაძე \

მიმწოდებელი:
ი/მ გიული გიორგაძე